

ივლისი, 2024
კლიმატური დახასიათება

ივლისის თვეში საქართველოს ამინდს, მირითადად, განაპირობებდა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან გრილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება, ასევე, ჰერიონულად კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით არსებული შედარებით ცივი ჰაერის მასების შემოჭრა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ერთდროულად, რაც იწვევდა ძლიერი ინტენსივობის ნალექების მოსვლას. ამასთან, თვის დასაწყისში ადგილი ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთიდან ცხელი ჰაერის მასების გადმოტანას, რის გამოც ამ ჰერიონდში ქვეყნის ტერიტორიაზე დაფიქსირდა ჰაერის მაღალი ტემპერატურები.

ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნორმის ფარგლებში აღინიშნა (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ $+0.9^{\circ}\text{C}$ შეადგინა, უდიდესი დადებითი გადახრებით ($+1.5^{\circ}, +2.5^{\circ}\text{C}$) შავი ზღვისპირა და მიმდებარე დაბლობ რაიონებში. ივლისის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე $+23^{\circ}, +27^{\circ}\text{C}$, ხოლო მთაში და მაღალ მთაში $+18^{\circ}, +24^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა. ტემპერატურის უარყოფითი გადახრები (-0.5°C -მდე) ქვეყნის ცალკეულ სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში დაიკვირვებოდა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის ფარგლებში, მირითადად, თვის პირველ რიცხვებში (4-6 ივლისი), ხოლო ცალკეულ ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში - თვის შუა რიცხვებში (11-15 ივლისი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ივლისის თვეში ადგილი არ ქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს $+38^{\circ}, +40^{\circ}\text{C}$ -ს ქვემო ქართლში (თბილისი) და აჭარის სანაპირო ზოლში (ქობულეთი) მიაღწია.

ივლისში ყველაზე დაბალი ტემპერატურები თვის დასაწყისში ან თვის ბოლოს აღინიშნა, როდესაც აბს. მინიმუმები მთაში და მაღალ მთაში $+13^{\circ}, +7^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა.


ნალექების რაოდენობის მიხედვით, ივლისის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმაზე უფრო მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა. მრავალწლიურ ჭრილში, დაწყებული 1956 წლიდან, ეს იყო რიგით მეათე, ხოლო 2016 წლის შემდეგ - ყველაზე ნალექიანი ივლისი (ნახ.2).

ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მთიან ნაწილში, ასევე, კახეთის ცალკეულ რაიონებში, სადაც ნალექების თვის ჯამები ნორმალურ მნიშვნელობებს 1.8-3.6-ჯერ აღემატებოდა. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (160-290 მმ) შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კავკასიონის მთიან რაიონებში მოვიდა, ხოლო ყველაზე მშრალი პირობები (მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობის 40-60%-ის ფარგლებში) დასავლეთის ცალკეულ დაბლობ რაიონებში დაიკვირვებოდა.


როგორც ჩანს, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა დასავლეთ საქართვლოში განპირობებული იყო უპირატესად ნალექიან დღეთა სიხშირით, ხოლო აღმოსავლეთში - ძლიერნალექიანი ეპიზოდებით.

27 ივლისიდან 29 ივლისის დილამდე უხვი ატმოსფერული ნალექები აღინიშნა ქვეყნის ცენტრალურ მთიან რაიონებში: რაჭა-ლეჩხუმში, ზემო იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოში: მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და კახეთის რეგიონებში. კერძოდ, ამბროლაურში, მთა-საბუეთში, თელავში, საგარეჯოში და ფასანაურში ამ ჰერიონდში მოსული ატმ. ნალექების რაოდენობამ 50-90 მმ შეადგინა, რაც ივლისის თვის კლიმატური ნორმის 70-100%-ს შეესაბამება. განსაკუთრებით ძლიერი ინტენსივობის ნალექი აღინიშნა შიდა ქართლში (გორი) და კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში (დედოფლისწყარო), სადაც მოსული ნალექების რაოდენობამ (80-140 მმ) თვის ნორმას 2-3-ჯერ გადააჭარბა.

27-28 ივლისს სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ღამის განმავლობაში (12 საათში) 50-წლიანი განმეორებადობის ნალექი (106-112 მმ) მოვიდა, რაც სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიას განეკუთვნება. კახეთში ძლიერ წვიმას თან ახლდა სეტყვა და ქარის გაძლიერება. ადგილობრივი მასმედიის ცნობით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში უხვი ნალექის შედეგად დაიტბორა საკარმიდამო ნაკვეთები და სახლების პირველი სართულები, ძლიერმა ქარმა დააზიანა საცხოვრებელი სახლები და ელექტროგადამცემი ხაზები, დაისეტყვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.



ნახ.1. ივლისის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმ. ნალექების ივლისის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში